საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№557 2020 წლის 18 მარტი ქ. თბილისი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

1. მიეცეს უფლება საგარეჯოს მუნიციპალიტეტს, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №2577 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი 53 427 (ორმოცდაცამეტი ათას ოთხას ოცდაშვიდი) ლარი და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის №45 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი 28 339 (ოცდარვა ათას სამას ოცდაცხრამეტი) ლარი, ჯამში – 81 766 (ოთხმოცდაერთი ათას შვიდას სამოცდაექვსი) ლარი, მიმართოს დანართით გათვალისწინებული პროექტების დასაფინანსებლად.

2. ეთხოვოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტს, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, ამავე განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული განკარგულებების ფარგლებში წარმოქმნილი ეკონომიების შესახებ ინფორმაცია (თითოეული ღონისძიების მითითებით) წარუდგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**

№	სამუშაოს დასახელება	სავარაუდო ღირებულება (ლარი)
1	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ უდაბნოში საკანალიზაციო სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია.	28 339
2	ქ. საგარეჯოში კახეთის გზატკეცილი N12ა-ს მიმდებარე ტერიტორიაზე მინი სტადიონს სარეაბილიტაციო სამუშაოები.	53 427
	სულ	81 766